

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის 36¹ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მედ14 მუხლის მოქმედება უნდა დაიწყოს 2010 წლის 1 იანვრიდან. კანონის მედ14 მუხლი ითვალისწინებს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელთა/დისტრიბუტორთა მიმართ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავების, შენახვის, დაფასოების ან ბაზარზე განთავსების აკრძალვას, თუ იგი არ არის დადგენილი წესით რეგისტრირებული. ამასთან, 2009 წლის 31 დეკემბრიდან უნდა მოხდეს 22-ე, 23-ე და 30-ე მუხლების ამოქმედება, ხოლო მიკვლევადობისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემების დანერგვა დ 2010 წლის 1 იანვრიდან.

იმისათვის, რომ საწარმოებისთვის დაიწყოს დღეს მოქმედი კანონით შეჩერებული მუხლების ამოქმედება (კერძოდ, რეგისტრაციასა და სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული მუხლები) საჭიროა ამ საწარმოებზე არსებობდეს შესაბამისი მონაცემთა ბაზა. საწარმოებზე შესაბამისი მონაცემთა ბაზის გაკეთებას წინ უსწრებს მათი რეგისტრაციის პროცესი, რაც დაკავშირებულია რეგისტრაციის წესის დამტკიცებასა და რეგისტრაციის დაწყების კონკრეტული ვადის დაწესებასთან, რომელსაც არ ითვალისწინებს არსებული კანონი. ამასთან დღესდღეობით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისათვის (ჩ თ) მოლაპარაკებების წინადმოსამზადებელი პროცესი მიმდინარეობს. ამ წინამოსამზადებელი პროცესის ფარგლებში შემუშავდა სურსათის უვნებლობის შესახებ ყოვლისმომცველი სტრატეგიის პროექტი. სტრატეგია ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული შეჩერებული მუხლების ამოქმედების ევროკომისიასთან წინასწარ შეთანხმებულ სქემას (ვადებს), კერძოდ: სტრატეგიის მიხედვით, დამტკიცდება საწარმოთა რეგისტრაციის წესი. საწარმოთა რეგისტრაციის საფუძველზე შეიქმნება სურსათის მწარმოებელ საწარმოთა მონაცემთა ბაზა. ინსპექტირების განხორციელება დაიწყება ეტაპობრივად 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით. საჭიროა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში შეჩერებული მუხლების ამოქმედება შესაბამისობაში მოვიდეს სტრატეგიის სქემასთან. ზემოაღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობა კანონის პროექტის მომზადება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული იმპლემენტაციის ხელშეწყობა. კერძოდ: საწარმოთა რეგისტრაციის დაწყებისთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, სურსათის მწარმოებელ საწარმოდ რეგისტრაციის წესის და პირობების შემუშავების ვადის განსაზღვრა და საწარმოთა რეგისტრაციის დაწყება დამტკიცებული წესის შესაბამისად. ასევე, საწარმოთა ინსპექტირებისთვის რეალური ვადების დაწესება, ინსპექტირებასთან დაკავშირებული შეჩერებული მუხლების ამოქმედება სურსათის უვნებლობის შესახებ სტრატეგიის შესაბამისად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, 2010 წლის 30 იანვრამდე შემუშავდება სურსათის მწარმოებელ საწარმოდ რეგისტრაციის წესი და პირობები. რეგისტრაციის წესის შემუშავების შემდეგ ძალაში შევა კანონის მედ14 მუხლი, რომლის მიხედვითაც დაიწყება საწარმოთა რეგისტრაცია. მიკვლევადობისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემების დანერგვა, ასევე კანონით გათვალისწინებული 22-ე, 23-ე და 30-ე მუხლების ამოქმედება მოხდება ეტაპობრივად შემდეგი სახით:

ა) ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებული სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის [2011 წლიდან არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა]

ბ) მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის, გარდა ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისა [2013 წლიდან არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა]

გ) ყველა სხვა სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის [2015 წლიდან არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა]

დ) ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისთვის [2017 წლიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე]

ამასთან, კანონის პროექტის მიხედვით, სავალდებულო კონტროლთან დაკავშირებული მუხლების ამოქმედებამდე, საწარმოებში სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება ნებაყოფლობით, მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია და გიორგი მელაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია და გიორგი მელაძე.

